ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შპს "სუპერფუდი" (შემდეგში „კომპანია") მცირე და საშუალო საწარმოებში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანია"სუპერფუდი" დაფუძნდა 2015 წლის 09იანვარს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია" შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის" რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ.მცხეთა სოფელი მუხრანიმე–12, IV ჩიხი, N 1 „კომპანიის" საიდენტიფიკაციო კოდი: 436037129.

2020წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეთა სტრუქტურა ასეთია:

მესაკუთრეები	31,12,2020
31001014339, გიგა აბუაშვილი	100%

„კომპანიის" დირექტორი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის არის გიორგი გენგიური (პ/ნ01001027678)

(ა) „კომპანიის" ძირითადი საქმიანობა: საცალოვაჭრობაარასპეციალიზებულმაღაზიებში, უპირატესადსაკვებიპროდუქტებით, სასმელებითანთამბაქოსნაწარმით, არასპეციალიზებულისაბითუმოვაჭრობასაკვებით, სასმელებითდათამბაქოსნაწარმით, საბითუმოვაჭრობახორცითდახორცისპროდუქტებით

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2015 წლის 9 იანვარი.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

1. *კომპანია და მისი ოპერაციები*

2. **(ბ) „კომპანიის“ სამუშაო გარემო:** „კომპანია“ ბიზნეს საქმიანობას საქართველოში ეწევა, უნდა ავღნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

(ბ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL”), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპისრემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

სასარგებლო მომსახურების ვადები გაწერილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა - დანადგარები	5-დან 20 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	2-დან 10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-დან 10 წლამდე

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ ანიჭებს ამონაგების კლასიფიკაციას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ქვემოთ აღწერილ კლასიფიკაციაზე:

- სავალო ინსტრუმენტები-ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით;
- წილობრივი ინსტრუმენტები - რეალური ღირებულებით თუ ივაჭრება საჯაროდ, ან რეალური ღირებულება შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ მიზანშეუწონელი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე;
- ყველა სხვა ინსტრუმენტი-თვითღირებულებით, გაუფასურების გამოკლებით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით, რომელიც მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.
- საწარმო არ ახდენს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვას.

ii).ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება და შეფასება:

- მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში-ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასით;
- ფინანსური ვალდებულება, რომელიც სრულად გადასახდელია მოთხოვნისთანავე (მაგ. არ არის განსაზღვრული დაფარვის თარიღი)-მოთხოვნისთანავე გადასახდელი სრული ოდენობით, დისკონტირების გარეშე.
- კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, გრძელვადიანი და მიმდინარე სასესხო ვალდებულებები კომპანიას არ გააჩნია.
- *ვალდებულების აღიარების შეწყვეტა*
- ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლების, ან ცვლილების დროს მოხდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ანულირება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო მოგებაში ან ზარალში აღიარდება დაფარული, ან სხვა მხარისთვის გადაცემული ფინანსური ვალდებულების საბალანსო

ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობა.

- *იჯარა*
- იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.
- *სასაქონლო-მატერიალური მარაგები*
- წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც აკლდება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.
- *'სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*
- რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
- *სავაჭრო ვალდებულებები*
- სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში,

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.
- იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

- *მოგების გადასახადი*
- მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფროადრე მოხდება : (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის, ან მომსახურების გაწევამდე მიღებული

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

კომპანია შემოსავლების და ხარჯის აღიარებას ახდენს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

ამონაგების აღიარება

კომპანია საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული, ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება.

ხარჯის აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კაპიტალისმართვისმიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა

საბაზრორისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ლიკვიდურობისრისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად.

მიუხედავად იმის, რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის გაყიდვებისა და შესყიდვების პროცესში მოცემულ შემთხვევას ჰქონდა გარკვეული გავლენა,კომპანიის არსებობა და მისი საქმიანობის გაგრძელება დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ.მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას, რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

ბ

	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფინანსურიმდგომარეობა			
ფულადისახსრებიდამათიეკვივალენტები	71338	42037	16050
სავაჭროდასხვამოთხოვნები	115021	63260	52506
სხვაპირებზეავანსებადდასესხებადგაცემულიფულადისახსრები	0	0	0
მარაგები	4602	7049	4974
მზაპროდუქცია	4301	6012	4003
სხვა	301	1037	971
საინვესტიციოქონება	0	0	0
სხვამოკლევადიანიაქტივები	0	0	0
ბიოლოგიურიაქტივები	0	0	0
თვითღირებულებისმოდელით	0	0	0
გადაფასებისმოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვაარამატერიალურიაქტივები	274	323	380
ძირითადისაშუალებები	69400	86751	101132
ინვესტიციებიშვილობილკომპანიებში	0	0	0
ინვესტიციებისხვასაწარმოთაწილობრივინსტრუმენტებში	0	0	0
სხვაგრძელვადიანიაქტივები	0	0	0
სულაქტივები	260635	199420	175042
ვალდებულებები			
საიჯაროვალდებულება	0	0	0
სავაჭროვალდებულებები	261698	171230	129450
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებებითანამშრომელთამიმართ	301	1250	1343
საგადასახადოვალდებულებები	550	4356	25590
გამოუმუშავებელიშემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანინასესხებისახსრები	0	0	0
გრძელვადიანინასესხებისახსრები	0	0	0
მიღებულიგრანტები	0	0	0
სხვავალდებულებები	0	0	0
სულვალდებულებები	262549	176836	156383
საკუთარიკაპიტალი			
სააქციოკაპიტალი (შპს-სშემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივისშემთხვევაში 'საპაიოკაპიტალი')	0	0	0
საემისიოშემოსავალი	0	0	0
გამოსყიდულისაკუთარიაქციები	0	0	0
გაუნაწილებელიმოგება / (დაგროვილიზარალი)	-1914	22584	18659
გადაფასებისრეზერვი	0	0	0
საკუთარიკაპიტალისსხვაკომპონენტები	0	0	0
სულსაკუთარიკაპიტალი	-1914	22584	18659
სულსაკუთარიკაპიტალიდავალდებულებები	260635	199420	175042

სულმოკლევადიანიაქტივები	260635	199420	175042
სულმოკლევადიანივალდებულებები	260635	199420	175042

საქმიანობისშედეგები

	31/12/ 2020	31/12/ 2019
საქმიანობისშედეგები	185909	220252
ნეტოამონაგები	4	1
	185909	220252
საქონლისგაყიდვიდან	4	1
მომსახურებისგაწევიდან	0	0
სამშენებლოხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
	-	
	126621	156993
გაყიდვებისთვითღირებულება	5	1
საწყისიმარაგები	0	0
მარაგებისშესყიდვა	0	0
გადამუშავებისდანახარჯები	0	0
საბოლოომარაგები	0	0
საერთომოგება	592879	632590
სხვასაოპერაციოშემოსავალი	0	0
	-	
დასაქმებულთაანაზღაურება	348551	413752
ცვეთა / ამორტიზაციისხარჯი	-18236	-21381
საპროცენტოშემოსავალი	0	0
საპროცენტოხარჯი	0	0
იჯარისხარჯი	-5100	-6160
	-	
ადმინისტრაციულიდასხვასაოპერაციოხარჯი	240760	180700
	-	
სულსაოპერაციოხარჯები	612647	621993
საოპერაციომოგება	-19768	10597
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსურიაქტივებისგაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგებისგაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვაარაფინანსურიაქტივებისგაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდაშემოსულობა / (დანაკარგი)		
უცხოურივალუტითვაჭრობიდანდასავალუტოსახსრებისგადაფასებიდან	0	0
მიღებულიდივიდენდები	0	0
სხვაარასაოპერაციოშემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგებისგადასახადისხარჯამდეგანგრძობითიოპერაციებიდან	-19768	10597
მოგებისგადასახადისხარჯი	0	0
საანგარიშგებოპერიოდისმოგება / ზარალი	-19768	10597
სხვასრულიშემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადისაშუალებების (მათშორის, ბიოლოგიურიაქტივების) გადაფასებისრეზერვი	0	0
სხვა (მათშორისწილიერთობლივიდამეკავშირესაწარმოებისუძრავიქონებისგადაფასებისრეზერვიდადადგენილგადასახდელიანიპროგრამები)	0	0
სხვასრულიშემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0

მთლიანისრულიშემოსავალი / (ზარალი)	-19768	10597
საკუთარიკაპიტალისაანგარიშგებოპერიოდისდასაწყისში	22584	18659
ახალიაქციებისგამოშვება (შპს-სშემთხვევაში 'კაპიტალისგაზრდა', კოოპერატივისშემთხვევაში 'საპაიოკაპიტალისგაზრდა')	0	0
განაწილებამესაკუთრეებზე (მათშორისდივიდენდი)	0	0
სხვაცვლილებებიგაუნაწილებელმოგებაში	-4730	-6672
კაპიტალისსხვაცვლილებები	0	0
საკუთარიკაპიტალისაანგარიშგებოპერიოდისბოლოს	-1914	22584

ფულადისახსრებისმოძრაობა

ფულადისახსრებისმოძრაობა	**31/12/2020**	**31/12/2019**
საოპერაციოსაქმიანობიდანწარმოქმნილი (საოპერაციოსაქმიანობაშიგამოყენებული) წმინდაფულადინაკადები	29301	25987
საინვესტიციოსაქმიანობიდანწარმოქმნილი (საინვესტიციოსაქმიანობაშიგამოყენებული) წმინდაფულადინაკადები	0	0
საფინანსოსაქმიანობიდანწარმოქმნილი (საფინანსოსაქმიანობაშიგამოყენებული) წმინდაფულადინაკადები	0	0
ფულადისახსრებისშემოსვლა (გასვლა)	29301	25987
ვალუტისკურსისცვლილებისგავლენაფულადსახსრებსადამათეკვივალენტებზე	0	0
ფულადისახსრებიდამათიეკვივალენტებისაანგარიშგებოპერიოდისდასაწყისში	42037	16050
ფულადისახსრებიდამათიეკვივალენტებისაანგარიშგებოპერიოდისბოლოს	71338	42037

შპს „სუპერფუდის „ დირექტორი გიორგი გენგიური

მთ. ბუღალტერი ლალი მგალობლიშვილი

ბ.ა.